“ა” კლასის ოსტატთა შეხვედრები
“ლოკომოტივი” (ხარკოვი) – “დინამო” (თბილისი)

7 ივლისს თბილისის დინამოელებმა ხარკოვში ჩაატარეს მორიგი კალენდარული შეხვედრა ადგილობრივ “ლოკომოტივთან”.

აღსანიშნავია, რომ თბილისის გუნდი ისევე, როგორც ლენინგრადში, გამოდიოდა შესუსტებული შემადგენლობით – ავადმყოფობის გამო კოლექტივს აკლდა რამდენიმე წამყვანი მოთამაშე. ხარკოველებმა კარგად ჩაატარეს შეხვედრა ძლიერ მოწინააღმდეგესთან, რაც არ ითქმის თბილისელებზე, რომლებიც თამაშობდნენ თავის შესაძლებლობებზე დაბლა. 90–წუთიანი ბრძოლა დამთავრდა ფრედ – 1:1.

თბილისის “დინამომ” დაამთავრა მეორე წრის პირველი სამი თამაში თავის მოედანს გარეთ. შედეგი მეტად არასახარბიელოა – გუნდმა 6 შესაძლებლიდან დაკარგა 5 ქულა და მოიპოვა მხოლოდ 1.

“ლელო”, 8 ივლისი, 1953 წ.